საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ზიპი, ბ. მეგენელიშვილის ქ. №25

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

წარმოგიდგენთ განსახილველად ,,პატიმრობის კოდექსში" ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ კანონპროექტს ;

გთხოვთ დაიწყოს უმაღლესი საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული კანონპროექტის განხილვა და მოწონების შემდეგ განხორციელდეს საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარდგენა.

პატივისცემით,
ელგუჯა ბაგრატიონი
ფრაქციის თავმჯდომარე

№09-01-08/33
7. 06 2017
7. დეკანოზი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება
სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 15

14 ივნისი 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი ,,პატიმრობის კოდექსში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ (№09-01-08/33, 7.06.2017)

დასახელება

უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი გია აბულაძე	*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო*
ავტორი	ინიციატორი

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

7.06.2017 წელი	წამყვანი კომისია: 4.07.2017 სხვა კომისიები: 30.06.2017	საშემოდგომო სესია
შემოსვლის თარიღი	საკომისიო მოსმენის ვადა	სხდომაზე განხილვის თარიღი

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

,,პატიმრობის კოდექსში'' ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებული იქნას ,,პატიმრობის კოდექსდი"-ში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების თანდართული კანონპროექტი და საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარდგენილი იქნას განსახილველად საქართველოს პარლამენტში;

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

ჩაქვი

2017 წლის ------ მარტი

№ ----------

საქართველოს კანონი
„პატიმრობის კოდექსში'' ცვლილებებისა
და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. ,,პატიმრობის კოდექსში“ (მიღების თარიღი 09.03.2010წ, **N2696**) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-60 მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტს დაემატოს ბ^{1} ქვეპუნქტი:
   ,, ბ^{1}) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი უმაღლესი საბჭოს წევრები.“
2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*

თბილისი,
2017 წლის
№

მოქმედი რედაქცია

<u>მუხლი 60. პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის უფლება</u>

1. პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობენ:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პარლამენტის წევრები;

გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

დ) პროკურატურის სისტემის საამისოდ უფლებამოსილი პირები;

ე) საქართველოს სახალხო დამცველი;

ვ) მინისტრი და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები;

ზ) სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები.

2. პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვით შესვლის წესს განსაზღვრავს მინისტრი.

3. დაუშვებელია პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე აუდიოვიდეოტექნიკისა და ფიქსაციის სხვა სახის ტექნიკის სპეციალური ნებართვის გარეშე შეტანა, გარდა ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. სპეციალურ ნებართვას გასცემს მინისტრი ან დეპარტამენტის დირექტორი.

4. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება ან მასთან ინტერვიუს ჩაწერა შეიძლება მხოლოდ ბრალდებულის/ მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობით.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები არ ვრცელდება ამ კოდექსით გათვალისწინებულ ვიზუალურ და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობაზე.

6. ამ მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები აგრეთვე არ ვრცელდება ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ გადაღებაზე. გადაღების თაობაზე ბრალდებული/მსჯავრდებული წინასწარ უნდა იქნეს გაფრთხილებული.

7. საქართველოს სახალხო დამცველი, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის წინასწარი წერილობითი თანხმობით სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი უფლებამოსილია მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესისა და სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა თანხმობით განახორციელოს მათი ან/და მათი უშუალო განთავსების პირობების, გასეირნების ადგილების, საექიმო-სამედიცინო პუნქტის, კვების ობიექტის, საერთო სარგებლობის საშხაპეების, საერთო სარგებლობის საპირფარეშოების და შეხვედრის ოთახების ფოტოგადაღება.

8. პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ამ მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრულ პირს ფოტოგადაღების რეჟიმის შემოწმება ვიდეოგადაღების თავიდან აცილების მიზნით, ხოლო ვიდეოგადაღების რეჟიმის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ აღკვეთოს იგი.

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსში“ ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა.) კანონპროექტის მიღების მიზეზები

,,პატიმრობის კოდექსის“ მე-60 მუხლით განსაზღვრულია იმ პირთა ჩამონათვალი, რომელებიც სარგებლობენ პენიტენციალურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით, სადაც არ არის აღნიშნული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში შექმნილია ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია, რომელმაც უნდა იმუშავოს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში შემოდის პენიტენციალური დაწესებულებებიდან განცხადებები, რომლებზეც რეაგირებას ვერ ახდენს ვერც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და ვერც ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია, რადგან პატიმრობის კოდექსით არ არის განსაზღვრული უმაღლესი საბჭოს წევრების პენიტენციალურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებამოსილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელების მიზნით შეტანილი იქნას დამატება ,,პატიმრობის კოდექსში“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და მის მიერ განსაზღვრულ საამისოდ უფლებამოსილ უმაღლესი საბჭოს წევრებს მიეცეთ პენიტენციალურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებამოსილება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

გაიზარდოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება, გაიზარდოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის საქმიანობის ეფექტურობა ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით. რისთვისაც საჭროა შეტანილი იქნას ცვლილება და დამატება ,,პატიმრობის კოდექსში“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და მის მიერ განსაზღვრულ საამისოდ უფლებამოსილ უმაღლესი საბჭოს წევრებს მიეცეთ პენიტენციალურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებამოსილება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში შემოდის პენიტენციალური დაწესებულებებიდან განცხადებები, რომლებზეც რეაგირებას ვერ ახდენს ვერც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და ვერც ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია, რადგან პატიმრობის კოდექსით არ არის განსაზღვრული უმაღლესი საბჭოს წევრების პენიტენციალურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებამოსილება.

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ,,პატიმრობის კოდექსში" ცვლილების განხორციელებას, რომლის ამოქმედების შემდგომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და მის მიერ განსაზღვრულ საამისოდ უფლებამოსილ უმაღლესი საბჭოს წევრებს მიეცემათ პენიტენციალურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებამოსილება, რაც გააუმჯობესებს უმაღლეს საბჭოში შემოსული განცხადებების საფუძვლიანი შესწავლისა და რეაგირების პროცესს, შეიქმნება პატიმრებთან შეხვედრის შესაძლებლობა მათი უფლებების დაცვის მიზნით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

- კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

- კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

- კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

- კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

- კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ განხილული და მოწონებული იქნა კანონპროექტი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი გია აბულაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

12/06/2017
N 1580

1580-09-02-11-3-201706121625

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტთან - ,,პატიმრობის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ“ და მისგან გამომდინარე საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

(რეგ N 09-01-08/33. 07.06.2017წ)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მიერ განხილული იქნა ,,პატიმრობის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი და მისგან გამომდინარე საქართველოს კანონის პროექტი.

წარმოდგენილი პროექტი არ შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ განმარტებითი ბარათი ეწინააღმდეგება ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. ამასთან, დადგენილების პროექტში არ არის მითითებული საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის განხილვისთვის მომხსენებელი, რაც რეგლამენტის 107-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევაა.

მაია ხაჯიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი